

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის 2017 წლის 15 თებერვლის სხდომის

ოქმი #3

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7

12.30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე _ თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი, დავით
პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მოისმინეს საკითხი 1: 1. „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.“

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია
N07/2/2062 09.02.2017წ. წერილი, რომლითაც წარმოდგენილია, „მცხეთის
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის
დამტკიცების შესახებ ” განკარგულების პროექტი, შემდეგი სახით:

1. დამტკიცდეს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
2017 წლის საპრივატიზაციო გეგმა:

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნატახტარში მდებარე 420 კვ.მ
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით
72.03.30.343. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 15 405
(თხუთმეტიათასოთხასხუთი) ლარით.

1.2. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. საგურამოში მდებარე 424 კვ.მ
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით
72.06.12.814. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 7 637
(შვიდიათასექვსასოცდაჩვიდმეტი) ლარით.

1.3. მცხეთის მუნიციპალიტეტის, ავტობუსი „PAZ-672 M“, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით YY 684 YV. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 1 205 (ათასორასხუთი) ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.“ საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თ. მომღვრიშვილი

კომისიის წევრები

დ. ვალიშვილი

დ. პაპიაშვილი

გ. ლაბაური

თ. ლელუაშვილი

დ. ჯალაბაძე